პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი | № 295 (13679) | ოთხშაბათი, 28 დეკემბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

გუშინ, 27 დეკემბერს თბილისში მუშაობას შეუდგა საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია

სესიამ მოისმინა მოხსენებანი:

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

თბილისი. 1966 წლის 27 დეკემბერი. საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის სხდომა. დეპუტატები ისმენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძის მოხსენებას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და შ. ჩხეტიანისა.

სასიხარულო შეღეგები, შთამაგონებელი პერსპექტივები

ღილის სხდომა

მთავრდება 1966 წელი. რამდენიმე დღის შემდეგ აიხვეა ალენდრის უკანასკნელი ფურცელი, და ჩვენი სამშობლო ვეგებება ახალ წელს — ხუთწლედის მეორე წელს. 1967 წელი განსაკუთრებული წელია. ეს არის წელი, როცა აღინიშნება სახელოვანი 50-ე ენლისთვი დიდი ოქტომბრისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში.

მეტად ღირსშესანიშნავი იყო მიმდინარე წელი საქართველოს მშრომელებისათვის. დიდი, სასისარულო და ბასსოვარი მოვლენები მოხდა ხუთწლედის პირველ წელს ქართველი ხალხის ცხოვრებაში. რეს ულეკის დრმაზე აკიდა მთავრობის მეორე უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი. იგი საზეიმო ვითარებაში გადასცა რესპუბლიკას თბილისში ჩამოსულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა დიდი ჯგუფი, ხოლო სკკპ XXIII ყრილობის მუშაობის დღეებში საუკეთესოთაგან 70 საუკეთესოს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება.

წელს მოხდა ჩვენი კულტურული ცხოვრების თვალსაჩინო ფენომენი — გენიალური პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი ფართოდ აღნიშნა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ.

სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც საყოველთაოდ გაბმულა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, დიდი წარმატებით დაგვირგვინდა — რესპუბლიკის მრეწველობამ ვადაამდე, 21 დეკემბრისათვის შესრულა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. სამშობლომ მიიღო ბევრგზის ფოლადი, ნაგლინი, მარგანეცის მადანი, ქვანახშირი, მინერალური სასუქები, ფართო მშრომელის სხვადასხვა საქონელი, მწყობრში ჩადგა ახალი საწარმოო სიმძლავრეები. ეგეგმაზომიერად ხორციელდება სამრეწველო საწარმოთა გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე.

რესპუბლიკის საერთო წარმატებებში თავიანთი წვლილი შეიტანეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც. 226 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — გეგმაზე 31 ათასი ტონით მეტი — მოკრიფეს ხუთწლედის პირველ წელს ქართველმა მეჩაიეებმა. გადაჭარბებით დაანაღდეს წლიური ვალდებანი მევენახეებმა და მხეილ-მთესველებმა. მოყვანილი ციტრუსების შესანიშნავი მოსავალი. შესრულებულია ბელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის, დაფნის ფოთლის, ტყლის, ხორცის მიყიდვის გეგმები. კარგად აქვს საქმე ბოსტნეულებსაც.

ნაყოფიერად იშრომეს მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა.

მთავრდება ხუთწლედის პირველი წელი. მაგრამ ყველაფერი, რაც გაკეთებულია, მხოლოდ პირველი წვლილია ახალი ხუთწლედის ფონდში, საქართველოს მშრომელთა პირველი ბიჯარი დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის.

რა უნდა გავაკეთოთ ახალ წელს, როგორი იქნება მზიური საქართველოს ხალინდელი დღე, რა მიჯნებს მიეაღწევთ ხუთწლედის მომავალ წლის — ყოველივე ამას გადაწყვეტენ ადამიანის რჩეულები, რომლებიც რესპუბლიკის დედაქალაქში საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ.

27 დეკემბერს დილის 10 საათზე გაიმართა საქართველოს სსრ შეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის პირველი სხდომა.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი რ. რ. დვალი, თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები ხ. ს. ბლაბა, ლ. ო. ლეონიძე.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. ბ. სტურუა, ა. ტ. სტუჩინსკი, რ. ი. ფრუიძე, ვ. ი. ჩოგოვაძე, ბ. ს. ძოწენიძე, ბ. დ. ჯაკობიშვილი, ბ. ა. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ო. ე. ჩერქეზია.

ოფიციალურ სტუმრებად ესწრებიან ამხანაგები ბ. ა. ბეგიშევი, ბ. ბ. ბეგიშევი, ბ. ბ. ბეგიშევი, ბ. ბ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეჯუტატ ე. მ. ჯაფარიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-9 სესია იკრიბება ლირსშესანიშნავ მოვლენათა მიჯნაზე.

საქართველოს მშრომელები, წარმატებით ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობების დადგენილებებს, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის საქმეში. განხორციელდა მრეწველობის მმართველობის ახალ სტრუქტურაზე გადასვლა და მიმდინარეობს სამრეწველო საწარმოების დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანა.

როგორც ცნობილია, გასულ შეიდწლედში სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. ჩვენი რესპუბლიკის მეორე ლენინის ორდენით დაჯილდოება და ამ მაღალი ჯილდოს გადასაცემად ჩამოსული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა იმ წვლილის მაღალი შეფასებაა, რომელიც საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმაყლობის საქმეში შეიტანეს.

გასულ შვიდწლედში მიღწეული მაღალი სამეურნეო მაჩვენებლებისათვის ლენინის ორდენით დაჯილდოებულ იქნა ჭიათურის მარგანეცის ტრესტი, „თბილგვირაბმშენის“ სამმართველო და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტი — „მეტალურგშენი“. რესპუბლიკის ათასობით მშრომელმა საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები მიიღო.

მიმდინარე წელს ქართველმა ხალხმა, სსრ კავშირის მომავე ხალხებმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ საყოველთაო-სახალხო ზეიმით აღნიშნა ჰუმანიზმის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის იდეების მქადაგებლის — გენიალური მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი.

რამდენიმე დღის წინ მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ, რომელმაც მიიღო კანონები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

ამ გეგმასა და ბიუჯეტის მაჩვენებლებს საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის განმტკიცებისა და მის ბაზაზე ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი აღმავლობის შესახებ.

გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხალხის მატერიალურ-კულტურული ეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს. დიდი სახსრებია გამოყოფილი: სპბინაო, სასკოლო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის. მნიშვნელოვნად გაიზრდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება — არსებული საწარმოო სიმძლავრეების უკეთ გამოყენებისა და ახალი საწარმოების ამოქმედების შედეგად.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში შემოაქვს განსახილველად ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის პროექტი. სახან გეგმის პროექტის მაჩვენებლების განხილვაზე გადაკიდოდე, ხება მიბოძეთ მოკლედ გაგაცნოთ 1966 წელში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის ძირითადი მაჩვენებლების შესრულების წინასწარი შედეგები.

1966 წელს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების შედეგები

მიმდინარე წლის გეგმის შესრულების წინასწარი შეფასება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ რესპუბლიკის მეურნეობა და კულტურა ვითარდებოდა დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

რესპუბლიკის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ადრე ადრე — 21 დეკემბრისათვის შეასრულა. საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 1965 წელთან შედარებით გაიზრდება 11 პროცენტამდე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8,2 პროცენტისა. გეგმის ზევით გამოშვებული იქნება მილიონობით მანეთის პროდუქცია. წარმატებით სრულდება ძირითად სახეობათა პროდუქციის გამოშვება ნატურალური გამოსახულებით.

გაუჯობესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. წარმოებაში დაინერგა მოწინავე ტექნოლოგიური პროცესები. ამუშავდა ახალი შეკანიზებული და ავტომატიზებული ხაზები. ათვისებულ იქნა ახალ სახეობათა ნაკეთობებისა და სახალხო მოხმარების საქონლის ათასი ერთეული. რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში წარმატებით სრულდება შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საგეგმო დავალებანი. გასულ წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება ამაღლდება 5,8 პროცენტით ნაცვლად დაგეგმილი 4 პროცენტისა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა სამრეწველო საწარმოთა დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის საქმეში. ამჟამად რესპუბლიკაში ამ ახალი მეთოდით მუშაობს 8 საწარმო; მათ შორის: თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა, თბილისის თამბაქოს № 1 და № 2 ფაბრიკები, ბათუმის და სოხუმის თამბაქოს ფაბრიკები, ბათუმის ბამბაეულის გადამამუშავებელი და თბილისის გრეხილი აბეჯის ფაბრიკები.

ამ საწარმოებმა, მიუხედავად ზოგიერთი სახის პროდუქციის რულიზაციისა არსებული სიძნელეებისა, წარმატებით შეასრულეს მათ მიერ მესამე კვარტალში აღებული გადიდებული გეგმები. მაგალითად, საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა შეასრულეს 103 პროცენტით, პროდუქციის რეალიზაციისა — 105,3 პროცენტით, მოგების მიღებისა — 108,6 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა — 110 პროცენტით. ამაღლდა მათი რენტაბელობის დონე და 23,4 პროცენტით გაიზარდა მატერიალური სტიმულირების ფონდები.

ამ საწარმოებმა გადიდებული გეგმის ზევით სახალხო მეურნეობას ერთი კვარტალის განმავლობაში მისცეს 738 ათასი მანეთის პროდუქცია, რეალიზაციის მოცულობა გაადიდეს 1,5 მილიონი მანეთით და ზეგეგმითი მოგება მიიღეს 169 ათასი მანეთის რაოდენობით.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საქმეში. მიმდინარე წელს გაიზარდა ძირითად სახეობათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და წარმატებით შესრულდა მათი სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. ამაღლდა უმთავრესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა; გაიზარდა პირუტყვისა და ფრინველის სულადობა და გადიდდა მათი პროდუქტიულობა.

მიმდინარე წელს კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა გაიზარდა 9,6 მილიონი მანეთით, ანუ 45,8 პროცენტით მეტია, ვიდრე მიმდინარე წელს.

რესპუბლიკაში წელს მიმდინარეობა კულტურის ექვსი სახლის მშენებლობა (ქობულეთში, ზნაურში, ყაზბეგში, საჩხერეში, ლენტეხსა და თიანეთში). მათთვის გამოყოფილი 505 ათასი მანეთიდან თერთმეტ თვეში ათვისებული იყო მხოლოდ 182 ათასი მანეთი, ანუ გეგმის 36 პროცენტი, ქობულეთის სახლის მშენებლობაზე — 37 პროცენტი, ზნაურისა — 30 პროცენტი, ყაზბეგისა — 2,6 პროცენტი, ლენტეხისა — 18 პროცენტი და თიანეთისა — 41,3 პროცენტი.

ამ საქმეში სამშენებლო ორგანიზაციებთან ერთად დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ ადგილობრივ რაიონულ ორგანოებს. მათ ისეთივე აქტივობა რომ გამიჩინათ მშენებლობის გეგმის შესრულების საქმეში, როგორსაც იჩენდნენ ამ ობიექტების 1966 წლის მშენებლობის გეგმაში შესატანად, მაშინ აუთვისებელი არ დარჩებოდა 300 ათას მანეთზე მეტი. ახლა როგორც კულტურის სამინისტრო, ისე საკავშირო კომიტეტი იძულებული არიან 1967 წელს კულტურის ობიექტებისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებებიდან ხელახლა გაიღონ ეს სახსრები და ამ თანხით შეამცირონ ახალი ობიექტების მშენებლობის მოცულობა.

ისევე როგორც გასულ წლებში, წელსაც არადამაკმაყოფილებელია კომუნალურ მშენებლობაზე გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ათვისება რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, აფხაზეთის ასსრ-ში, აჭარის ასსრ-სა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. რესპუბლიკაში, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქ. თბილისს, რომელმაც თერთმეტი თვის გეგმა 124 პროცენტით შეასრულა, კომუნალური მეურნეობის ობიექტების მშენებლობის თერთმეტი თვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 79 პროცენტით; მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში — 73,6 პროცენტით, აჭარის ასსრ-ში — 88,8 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 74,8 პროცენტით. ხოლო დანარჩენ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში — 77,8 პროცენტით. თუ გავიგონებენ, რომ რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში დაბალია კომუნალური მომსახურების დონე, ასეთი მდგომარეობა ყოველად შეუწყნარებელია.

ჩვენი ვალია უმოკლეს ვადაში აღმოვფხვრათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, ყოველნაირად განვამტკიცოთ სახელმწიფო დისციპლინა, გავაუმჯობესოთ საგეგმო-ეკონომიური მუშაობისა და სამეურნეო ხელმძღვანელობის დონე, რათა წარმატებით შევასრულოთ ახალი ხუთწლეულის მეორე წლის გეგმის პროექტით გათვალისწინებული ამოცანები.

1967 წლის გეგმის მთავარი მიმართულებანი და ამოცანები

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენ ხელთა გაგაქვთ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის პროექტი. ამიტომ მე შევჩერდები ამ გეგმის ზოგიერთ ძირითად მაჩვენებლებზე.

მრეწველობა და ტრანსპორტი

სამრეწველო წარმოების მოცულობა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარების საწარმოებში გაზრასულია გაიზარდოს 1966 წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით 5,7 პროცენტით, აქედან საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში — 5,2 პროცენტით, რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში — 8,9 პროცენტით.

სამრეწველო წარმოების ზრდის საშუალო წლიური ზრდის ტემპი ორი წლის განმავლობაში მიიღწევა 8,5 პროცენტს. ეს სავსებით უზრუნველყოფს XXIII ყრილობის დირექტივებით ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების დადგენილ მაჩვენებელთა შეასრულებას მომდინარე ხუთწლედში.

სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის ასეთი ზრდა უზრუნველყოფილი იქნება ტექნიკური-ეკონომიური მაჩვენებლების. გაუმჯობესებით, ტექნიკური პროგრესის შემდგომი ზრდით და სამრეწველო საწარმოთა დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის ღონისძიებათა განხორციელებით.

წარმოდგენილი გეგმის პროექტის მიხედვით მომავალ წელს მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით უფრო სწრაფად გაიზრდება ელექტროენერგეტიკა, ქიმიური, საშენი მასალებისა და მსუბუქი მრეწველობა.

1967 წელს ელექტროენერგიის გამოშუშავება გათვალისწინებულია 7.200 მილიონი კილოვატსაათის ოდენობით, რაც 1966 წლის მოსალოდნელ შესრულებას აღემატება 10-მდე პროცენტით.

ელექტროენერგიის მოხმარება მნიშვნელოვნად გაიზრდება სოფლის მეურნეობაში, და მოსახლეობის საბინაო-კომუნალურ საჭიროებებზე.

ამუშავდება თბილისის სახელმწიფო ელექტროსადგურის მეოთხე ბლოკი 160 ათასი კილოვატის სიმძლავრით, მაღალძაბვის 432 კილომეტრი საერთო სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზები.

კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა ელექტროენერგეტიკის განვითარებაზე 1967 წელს მიიღწევს 31,3 მილიონ მანეთს, რაც 41,4 პროცენტით აღემატება მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებას. დაიწყება თბილისის სახელმწიფო თბოსადგურის მე-5 და მე-6 ბლოკის აგება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებებია გაშენებული ენერგეტიკულ ობიექტების მშენებლობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ მომავალ წელს ამოქმედდება ახალი ენერგოსიმძლავრეები, ჩვენ დაგეგმილია 300 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგიის მიღება აზერბაიჯანის ენერგოსისტემიდან.

მომავალ წელს ქვანახშირის მრეწველობაში გეგმის პროექტი ითვალისწინებს ნახშირის ამოღების შემცირებას 80 ათასი ტონით. ეს შემცირება გამოწვეულია ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ №№ 1, 4 და 5 შახტებში სიმძლავრეებისა და ნახშირის მარგის შემცირებით და მუარა ნახშირზე მოთხოვნილების შეზღუდვით.

ქვანახშირის მრეწველობაში საწარმოო მშენებლობისათვის გამოიყოფა 13,2 მილიონი მანეთი.

ქიმიურ მრეწველობაში საერთო პროდუქცია გაიზრდება 35,4 პროცენტით, მინერალური სასუქებისა — 9,3 პროცენტით, სინთეზური ბოჭკოსი — 2-ჯერ.

ხე-ტყის გამოზიდვის მოცულობა მომავალი წლისათვის განსაზღვრულია 612 ათასი კუბური მეტრით, რაც 16,5 პროცენტით ნაკლებია მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებაზე. ეს შემცირება ნაკარნახევია ჩვენი დაცვითი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების შენარჩუნების აუცილებლობით.

სატყეო, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საერთო პროდუქციის ზრდა პროგეგმით განსაზღვრულია 2,7 პროცენტით, ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა ამ სამინისტროს ხაზით მიიღწევა 6,2 მილიონ მანეთს, რაც თითქმის 18,4 პროცენტით აღემატება მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებას.

მიუხედავად იმისა, რომ გათვალისწინებულია **საშენი მასალების** წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება. საკიდელ და ინერტულ მასალებით მშენებლობის მომარაგება მეტად დაძაბული იქნება. საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს საერთო პროდუქცია გაიზრდება 9,2 პროცენტით. ამავე სამინისტროს ხაზით ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა განსაზღვრულია 9,6 მილიონი მანეთით, ანუ 45,8 პროცენტით მეტია, ვიდრე მიმდინარე წელს.

რესპუბლიკაში საშენ მასალებზე მოთხოვნილების სწრაფი ზრდა მოითხოვს მათი წარმოების მოცულობის შესაბამის გადიდებას. საჭიროა სათანადო სამინისტროებმა და უწყებებმა მიაქციონ ამ დარგის საწარმოთა სიმძლავრეების სრულად გამოყენებას, ახალ სიმძლავრეთა სწრაფად ამოქმედებას და ძალი სატრანსპორტო სიმძლავრეების რაც შეიძლება მაღე ათვისებას, როგორც საშენ მასალათა მრეწველობაში სიმძლავრეთა გამოყენების დასასრულებლად აღებული ზომები, საშენი მასალებისა და მშენებლობის სამინისტროებს გეგმის გადაჭარბებით შესრულების დიდი შესაძლებლობები აქვთ. საჭირო იქნება ამ ხაზით გარკვეულ ღონისძიებათა განხორციელება, მათ შორის დამატებითი სახსრების გამონახვა საშენი მასალების წარმოების გასაფართოებლად ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაზითაც.

მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის დონის შემდგომი ამაღლებისა და მისი მოთხოვნილების ზრდის შესაბამისად, გეგმის პროექტი ითვალისწინებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მნიშვნელოვან გაფართოებას, მისი ასორტიმენტის გამდიდრებას და ხარისხისა და გარეგნული გაფორმების შემდგომ გაუმჯობესებას.

მომავალ წელს **ადგილობრივი მრეწველობის** მნიშვნელოვანი ზრდა. გაფართოვდება მოსახლეობისათვის განკუთვნილი საქონლის წარმოება, განახლდება მისი ასორტიმენტი. გაუმჯობესდება შალის, ბამბეულისა და ბეჭის ქსოვილების ხარისხი. გაიზრდება მბატარეულად გამოყენილი თეთრეულის, ტრიკოტაჟისა და მოცულობრივი ნართიდან ზედა ტრიკოტაჟის წარმოება.

1967 წელს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საერთო პროდუქცია გაიზრდება 1966 წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით 12,2 პროცენტით. მსუბუქი მრეწველობის ზრდის ასეთი მაღალი ტემპი რესპუბლიკაში ჯერ არა გვქონია.

წარმოების ასეთი ზრდა ძირითადად გათვალისწინებულია არსებული საწარმოო სიმძლავრეების სრული გამოყენებით და ახალი სიმძლავრეების ამოქმედებით. 1967 წელს ამოქმედდება 9 ათასი სათითაოდ თითოსტანი ბამბეულის ქამოლეური შალის სართავ ფაბრიკაში, 314 ეუნიფორსალური ტაკერავი მანქანები სოხუმისა და თელავის სამკერვალო ფაბრიკებში, 144 ცალი ავტომატური საქსოვი დაზგა ა. შ.

მომავალ წელს გაგრძელდება ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკისა და ქუთაისის საბრეშუმის კომბინატის გამოშვებული საამქროს მშენებლობა და დაწყება ჭიათურისა და ზესტაფონის სამკერვალო ფაბრიკების აგება და სხვ.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს უნდა უზრუნველყოს საწარმოთა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. უნდა დამუშავდეს და გატარდეს ღონისძიებანი იმ პროდუქციის წარმოების მოცულობის გასაფართოებლად და გარეგნული გაფორმების გასაუმჯობესებლად, რომელზეც დიდი მოთხოვნილება მოსახლეობაში. სამინისტრომ უნდა მიიღოს ზომები ახალი სახის ქსოვილების, სამკერვალო ნაწარმისა და სხვა ნაკეთობათა შექმნისა და წარმოებაში დანერგვისათვის, მუშების კვალიფიკაციისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაზით საწარმოო მშენებლობაზე განზრახულია დაიხარჯოს 8,6 მილიონი მანეთი. გარდა ამისა, საცხოვრებელი ბინებისა და სკოლამდელი ასაკის სამავშვო დაწესებულებების აგებაზე დაიხარჯება 2 მილიონ მანეთზე მეტი.

მომავალ წელს **კვების მრეწველობის** პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება და მისი ხარისხისა და გარეგნული გაფორმების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოებას მოცულობისა და სასურსათო საქონლეულ მოსახლეობის მოთხოვნილების უზრუნველყოფის შესაბამისად.

კვების მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის 1967 წლის გეგმის პროექტით გათვალისწინებულია კაპიტალური დაბანდებანი 20 მილიონ მანეთზე მეტი მოცულობით. რაც 28 პროცენტით აღემატება 1966 წლის მოსალოდნელ შესრულებას.

1967 წელს ამოქმედდება ლიხაურის, ჩობარაულის და გორნის ჩაის ფაბრიკები; წითელწყაროს, იყალთოს და სვეტის პირველადი მეფუძნეობის ქარხნები; თბილისის საფუძარის ქარხანა, სოხუმის, ბაქის ხაფურმენტაციო ქარხანა, სურმანის, ბინეს ტარის ქარხანა სრული სიმძლავრით, გორის და აგარის საკონსერვო ქარხნები და სხვ.

გაგრძელდება ოკამის, მუკუზნის და ახმეტის პირველადი მეფუძნეობის ქარხნების, ქუთაისის საკონდიტრო ფაბრიკის და ხორცკომბინატის, ბორჯომის წყლის ჩამომსხმელი ქარხნის, ბიჭვინთის ბილეთული წყლების ქარხნისა და სხვათა მშენებლობა.

ლიწყრება გაკლის, თერჯოლის და ქედის ჩაის ფაბრიკების, რუსთავის, ტყიბულის პურის ქარხნების, ახალციხის ხორცკომბინატისა და ზითელწყაროს ყველის ქარხნის მშენებლობა.

ამხანაგო დეპუტატებო! როგორც თქვენთვის ცნობილია, **რესპუბლიკური მრეწველობა** მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახალხო მოხმარების საგნების წარმოებისა და ამ საგნებით მოსახლეობის მომარაგების საქმეში. რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობის საერთო პროდუქცია 1967 წელს გაიზრდება 8,9 პროცენტით, აქედან კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სათავსო დანიშნულების საქონლისა — 13,5 პროცენტით. რესპუბლიკის დაქვემდებარების მრეწველობამ შემდგომში კიდევ უფრო უკეთ გაფართოოს ადგილობრივი ნედლეულიდან და წარმოების ნარჩენებიდან სახალხო მოხმარების საგნების წარმოება მოსახლეობის მოთხოვნილებათა შესაბამისად, აამაღლოს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და გაამდიდროს მისი ასორტიმენტი როგორც წარმოებაში უკვე ათვისებულ ნაკეთობათა გამოშვების გზით, ისე ახლის შექმნით. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ხალხური მხატვრული ხელოსნობის აღდგენა-გაფართოებას საქმეს.

გეგმის პროექტით 1967 წლისათვის საერთო სარგებლობის **ავტოტრანსპორტის ტვირთბრუნვა** 1966 წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით გაიზრდება 7 პროცენტით; მგზავრთა გადაყვანა —6,7 პროცენტით. ავტოტრანსპორტისა და საავტომობილო გზების განვითარებისათვის სახელმწიფო კაპიტალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხაზით გამოყოფილი იქნება 15 მილიონ მანეთზე მეტი.

რესპუბლიკაში მომავალ წელს შემდგომ განვითარდება ავტოსაგზაო მეურნეობა. გაგრძელდება ქალაქ სამტრედიასთან ხიდის მშენებლობა მდინარე რიონზე. ავტოტრანსპორტის შემოსავლიანობიერების, საწარმოების, სამეურნეო ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების სახსრების ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაეცემა 60 კილომეტრი საერთო სიგრძის მაგისტალური საავტომობილო გზები. დიდი სახსრებია გათვალისწინებული საერთო სახელმწიფოებრივი რესპუბლიკური მნიშვნელობის გზის შენახვისა და შეკეთების ხარჯების დაფინანსებად. კაპიტალური რემონტი გაუკეთდება 224 კილომეტრი საერთო სიგრძის გზებს და ერთგრძივ კილომეტრზე მეტ ხიდებს.

კავშირგაბმულობის პროდუქცია იზრდება 6.1 პროცენტით. კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებას მომავალ წელს მოხმარდება 4,7 მილიონ მანეთი, ანუ 6,8 პროცენტით მეტი 1966 წელთან შედარებით.

წარმოდგენილი გეგმის პროექტით გათვალისწინებულია ლონისძიებანი წყალმომარაგებისა და მშენებლობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა [illegible] თუ დანერგვის უზრუნველყოფა.

(დასასრული მე-3 გვერდზე).

დარბაზობა ა. ნ. კოსიგინის ვაჭრობისაცვამად

(დასასრული)

გასაგებია, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მშვიდობის პირობებში, რითაც, როგორც დავრწმუნდით, ერთნაირად არიან დაინტერესებული თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხები. სწორედ ამით ვხელმძღვანელობდით უწინარეს ყოვლისა, როცა მოლაპარაკებას ვაწარმოებდით თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან.

როცა ესა თუ ის სახელმწიფო ვიზიტი მთავრდება, ჩვეულებრივ წამოიჭრება ხოლმე კანონზომიერი კითხვა: როგორია მიღწეული შედეგები და იკმაყოფილებს თუ არა მოლაპარაკების მონაწილეებს. რა თქმა უნდა, ამ კითხვაზე პასუხი უნდა გამოხატავდეს ორივე მხარის აზრს. რაც შეგვეხება ჩვენ, კმაყოფილი ვართ ვიზიტის შედეგებით. როგორც ჩანს, თურქეთის მთავრობა ამავე აზრისაა, რასაც მოწმობს პრემიერ-მინისტრის ბატონ დემირელის გამოსვლაც, რომელიც ჩვენ ეს-ეს არის მოვისმინეთ. თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან აზრთა ურთიერთგაზიარებამ შესაძლებლობა მოგვცა გამოვვლინა როგორც საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარების, ისე საერთაშორისო საკმეებში მეტი ურთიერთგაგების დამყარების გზები.

პრეზიდენტ სუნაისთან და პრემიერ-მინისტრ დემირელთან საუბრებმა დაადასტურა, რომ ჩვენი ქვეყნები იცავენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს, იღწვიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის. ჩვენი თვალსაზრისები ერთმანეთს ემთხვევა იმაი დიდმნიშვნელოვან საკითხებში, როგორიც არის სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის დაუშვებლობა, ატომური იარაღის შემდგომი გავრცელების აკრძალვა, განიარაღება, ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის შეწყვეტა. რა თქმა უნდა, პრობლემები, რომლებიც მსოფლიოში წარმოიშობა, რთულია და მათი მოწესრიგება ადვილი როდია. მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს პრობლემები უნდა გადნეთილნოთ და გადავჭრათ, თუ ნამდვილად ვეუსწრაფვით მშვიდობის განმტკიცებას.

ჩვენი ჩამოსვლა თურქეთში იზოლირებული ეპიზოდი როდია, როშელსაც საფუძვლად არ ედოს უკვე მიღწეული და არ ჰქონდეს გაგრძელება. ჩვენი ვიზიტი ბევრ სხვა ღონისძიებასთან ერთად ერთიანი პოლიტიკური გეზია, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს თურქეთის მიმართ. ეს არის ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთნდობისა და ეკონომიურ ურთიერთობათა განმტკიცების გეზი. შემიძლია სავსებით გარკვეულად გითხრათ, რომ ეს გეზი მერყეევი არ არის და თანმიმდევრულად იქნება განხორციელებული, რა თქმა უნდა, იმ პოლიტიკის გათვალისწინებით, რომელსაც თვით თურქეთი გაატარებს.

თქვენი ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეებთან საუბრების შედეგად შეგვეკმნა შთაბეჭდილება, რომ თურქეთის მთავრობაც დაინტერესებულია საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობისა და სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის შემდგომი განვითარებით. ჩვენ შევთანხმდით განვაგრძოთ ამ მიზნით კონტაქტები და აზრთა ურთიერთგაზიარება.

ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ განსხვავდება ჩვენი პოზიციები ზოგიერთ საერთაშორისო საკითხში. მაგრამ ეს როდი ანშობს საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარების პერსპექტივას, და დარწმუნებული ვართ, რომ არსებული დაბრკოლებანი შეიძლება აღმოიფხვრას.

ოფიციალური მოლაპარაკება თურქეთის მთავრობასთან დამთავრდა, და გამოქვეყნდება საბჭოთა კავშირ-თურქეთის ერთობლივი კომუნიკე, რომელშიც შეჯამებულია ამ დღეების მუშაობის შედეგი.

მოლაპარაკების დროს მიღწეულია შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის ვაჭრობისა და ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების შესახებ, და ეს ორივე ქვეყნის ინტერესების შესაბამისი იქნება. საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, ხელს შეუწყობს თურქეთში ზოგიერთი ისეთი სამრეწველო საწარმოს შექმნას, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ეროვნული ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის. მოლაპარაკებამ ხელი შეუწყო იმას, რომ ამ საწარმოთა პროექტების შემუშავება და მათი მშენებლობა დაეხებულ ვადებში დამთავრდეს.

დასასრულ უნდა განვაცხადო, რომ მიგდგარი რა თურქეთის რესპუბლიკიდან, კიდევ დიდ მადლობას ვუძღვნით პრეზიდენტს ბატონ სუნაის და პრემიერ-მინისტრს ბატონ დემირელს სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც ჩვენ გაგვიწიეს. ჩვენი აზრით, თურქეთის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ვიზიტები საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვეულნი, აგრეთვე სხვა კონტაქტები შესაძლებლობას მოგვცემს განვაგრძოთ აზრთა სასარგებლო ურთიერთგაზიარება, კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობა.

ყველა ჩვენი ამხანაგის სახელით მინდა აგრეთვე მადლობა გადავუხადო ხელოვნებისა ამ ... ...

დეპუტატ ე. მ. ხაფარიძის მოხსენების დასასრული

1967 წელს მრეწველობაში (საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს ჩათვლელად) ათვისებულ იქნება 44-ზე მეტი დასახელების ახალ ნაკეთობათა წარმოება. მოწინავე ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის ხაზით გატარდება 166-ზე მეტი ღონისძიება. შესრულდება სამუშაოები გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით მმართველობის ავტომატიზებული სისტემის შემოსაღებად. ასევე 4 სამშენებლო მოედანზე დაინერგება დაგეგმვისა და მმართველობის ქსელობრივი სისტემა და სხვ.

1967 წელს რესპუბლიკური დაქვემდებარებაში მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ამაღლება გათვალისწინებულია 3,5 პროცენტით, სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება შესაფერ ფასებში — 1.16 პროცენტით. მოგების მოცულობა გაიზრდება 18 პროცენტით.

ჩვენი მრეწველობის მუშაკება ახალი სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად დაიწყება ცალკეული საწარმოებისა და მთელი დარგების მასობრივი გადაყვანა დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალ მეთოდზე.

მომავალი წლის 1 იანვრიდან დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალ მეთოდზე გადაყვანილ იქნება 100-მდე საწარმო.

ამ უაღრესად დიდი მნიშვნელობის ღონისძიების გატარება მოითხოვს წინასწარ სერიოზულ ორგანიზაციულ-მეთოდური მუშაობის გაწევას. დაგეგმვის ახალ მეთოდზე გადასაყვანი საწარმოები უზრუნველყოფილ უნდა იქნან საკუთარი სპარეზნი ხარჯებით. საჭიროა დროულად წარედგინოს ბანკს მათი საკრედიტო განაცხადები. გაანგარიშებულ უნდა იქნას ძირითადი და სპარეზნი ხარჯების საჭირო მოცულობა და დადგინდეს მათი ოპტიმალური დონე; დაინერგოს შიდასამეურნეო ანგარიში, დროულად დამუშავდეს სამეურნეო რეფორმის ყველა ნორმატიული და ინსტრუქციული მასალა და სხვ.

სამეურნეო რეფორმის განხორციელების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა სამრეწველო პროდუქციის სპეციფიკური ფასების სრულყოფა. ამ მხრივ დიდი მუშაობა წარმოებს საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტში. უკვე დამტკიცებულია საბითუმო ფასების პრეისკურანტები რესპუბლიკაში წარმოებულ მთელ რიგ სასურსათო საქონელზე, საფეიქრო გალანტერეიაზე, ტყავგალანტერეის საქონელზე და სხვ.

მომდინარეობს მუშაობა სატრანსპორტო ტარიფებსა და მძიმე მრეწველობის პროდუქციაზე. ახალი საბითუმო ფასების დასადგენად.

საწარმოების ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას ხარისხობრივი-ეკონომიური მაჩვენებლების შემდგომ გაუმჯობესებაზე. ამისათვის კი საჭიროა საეურნეო ანგარიშის პრინციპის შემდგომი განმტკიცება, საწარმოთა პირდაპირი სამეურნეო კავშირების გაფართოება და საწარმოთა მატერიალური დაინტერესების ამაღლება შრომითი, მატერიალური და ფულადი რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების საქმეში.

სამეურნეო მუშაკების ამოცანაა საწარმოთა ძირითადი და საბრუნავი ფონდების გამოყენების გაუმჯობესებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მეშვეობით უზრუნველყონ საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ამაღლება.

უნდა მიიღწიოთ საგეგმო-ეკონომიური მუშაობის გაძლიერებას საწარმოებსა და მეურნეობის მმართველობის ყველა რგოლში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ახალი ტექნიკის დანერგვის ეფექტიანობის საკითხებს.

რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა, საფინანსო და საკრედიტო ორგანოებმა, სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა და პირველ რიგში სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურმა ფაკულტეტმა ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ საწარმოებს დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლის მომზადებასა და განხორციელებაში. საჭიროა პრესამ, პირველ რიგში, ყურნალმა „საქართველო“ ეკონომისტმა“, უფრო მეტი ყურადღება დუთმოს ამ საკითხების ყოველმხრივ გაშუქებას.

სოფლის მეურნეობა

ამხანაგო დეპუტატებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის დადგენილების განხორციელების საფუძველზე ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა წარმატებით ვითარდება.

წინასწარი გაანგარიშებით, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1966 წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით გაიზრდება 3,5 პროცენტით, მათ შორის საზოგადოებრივ მეურნეობაში — 6,7 პროცენტით.

